ეროვნული ბიბლიოთეკა

პნის მაზრაში თითქმის ყოველი მემამულე სწამლობს თავის ვენახს, დიდ სარგებლობას ჰხედავს წამლობაში და ძლიერაც ემადლიერება ამ წამლობის შემომღებს. მარტო შარშან გაიყიდა 800 მაშინა ვერმორელისა ქუთაისსა და ყვირილაში. მერმისსაც, თუ ორი ამდენი არა, 1,200 მაშინა მაინც გასაღდება იმერეთში. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ერთობ ძვირია ეს მაშინა ჩვენის მემამულესათვის. წელს მისი ფასი იყო 18 მან. 20 მანეთამდე. გაისად, როგორც ვფიქრობ, კიდევ უფრო ძვირი იქნება, რადგან ნამდვილ წყაროდგან შევიტყვე, რომ ვერმორელს თავის მაშინების გასყიდვის ნება მთელს კავკასიაში მარტო ერთის კაცისათვის დაუთმია. ეს კაცი გახლავთ ტფილისის საათფთიაქო საქონლის საწყობის პატრონი. მაშასადამე, მაშინის ფასი აიწევს, ერთი—იმიტომ რომ მოცილე და მეტოქე არ ეყოლება მის გამყიდველს ჩვენში; მეორეც — იმიტომ რომ ბათუმიდგამ მომავალი საქონელი (მარსელიდან) ჯერ ტფილისში უნდა მოვიდეს და მერე აქედ უნდა გამოიგზავნოს. თუნდა რომ კიდეც არ მოიმატოს მაშინის ფასმა, მაინც დიდად საგრძნობელია მაგ ფასის გალება ჩვენთვის. ამ საქმეს, ფასის დამცირებას, ეშველებოდა რამ, რომ ქუთაისის სამეურნეო განყოფილებას აღმოეჩინა შემწეობა ერთის ხელოსანის კაცისათვის, რომელმაც ფრიად საყურადღებო წინადადება მიართვა წელს, გაზაფხულზე. ეს კაცი გახლავთ ბ-ნი რატიანი, რომელსაც დღემდე ბათუმში ჰქონდა გამართული ჩინებული სახელოსნო რკინეულ და სპილენძეულ ნივთებისა. მან საჩვენებლად გააკეთა სწორედ ისეთივე მაშინა, როგორიც არის მაშინა ვერმორელისა; განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ის ადგილი მაშინისა, საიდამაც გამოდის ნაკადული და შხეფათ აფრქვევს, სხვანაირად იყო მოწყობილი რატიანის მაშინაში. ეს ადგილი იმ ნაირის ნივთეულებისაა, რომ ადვილად არა ფუჭდება. წარმოუდგინა ეს მაშინა ბ-ნმა რატიანმა ქუთაისის სამეურნეო განყოფილებას და უთხრა: თუ მოიწონოთ ეს მაშინა და დაინახოთ, რომ არაფრით ჩამოუვარდება ვერმორელისას, გთხოვთ მიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, მომცენ სესხად, ორის წლის ვადით და სანდო კაცის თავდებობით, ასი თუმანი: დავამზადებ იმდენს მაშინას, რამდენსაც მიბრძანებთ, და გავყიდი ვერმორელისაზე ექვსის მანეთის ნაკლებ ფასად. ქუთაის. სამ. განყოფილებამ აირჩია კომისია, რომელმაც შეამოწმა ბ-ნ რატიანის მაშინა და დაასკვნა, რომ ეს მაშინა ყველაფრით ჰგავს ვერმორელის მაშინას, მხოლოდ რიკი ანუ მილი აქვს სხვა ნაირი; მისგან ნასროლი შხეფი საკმაო ძალითა და ფრქვევით გამოდის ისე, როგორც ვერმორელის მაშინიდგან, მხოლოდ შხეფის სახე (ფორმა) მარაოს მსგავსია, ე. ი. პრტყელია; ვერმოსელის მაშინაში-კი შხეფის სახე კონუსია, ე. ი. შაქრის თავის მსგავსიო, მაგრამ ამითი მაშინა არ არის დასაწუნი, და სასურველია მისი გავრცელება, თუ ვერმორელის მაშინაზე უფრო იაფად გაიყიდაო. ამას შემდეგ გუბერნატორმა მოსთხოვა ბათომის პოლიციას ცნობა ბ-ნ რატიანის შესახებ: სანდო კაცია თუ არა, ან როგორ აწარმოებს თავის საქმესაო. აღმოჩნდა, რომ ურიგო კაცთან არ გვქონია საქმე. საფიქრებელი იყო, რომ ამას შემდეგ ქუთაის. სამ. განყოფილება შემწეობას აღმოუჩენდა ამ მოხელე კაცს და სთხოვდა, ვისაც ჯერ არს, სესხად საჭირო ფულს. ამით დიდს შეღავათს მოსცემდა იმ მამულის მეპატრონეს, რომელთაც სწადიანთ ვენახის წამლობა, და ის ფულიც, რომელიც ეხლა საზღარ-გარეთ მიდის, აქვე დარჩებოდა; მაგრამ ქუთაისის სამ. განყოფილება, რაღაც გაუგებარის მიზეზით, ამ კეთილს საქმეს აჭიანურებს: სასაცილოც არის და სამწუხაროც, რომ ამ ნაირ მცირე მიზეზის გამო (ასი თუმნისათვის) ასეთი დიდი საქმე ბრკოლდება. თუ ქუთაისის სამეურ. განყოფილებას ჰსურს ამ საქმის რიგიანად დაბოლოვება, დროა დაუჩქაროს. საცაა გაზაფხული კარს მოგვადგება და ბლომად მამულების შემუშავება ვეღარ მოესწრება.

---

# ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

ყარსის ოლქის ოლტონსკის მაზრაში 14-დგან 28 ნოემბრამდე ხოლერით ავად გახდა 11. მორჩა 8, გარდ. 3, ავად იყო 2.

---

# ახალი ამბავი

*** ოფიციალურ ცნობით, ამ წლის 1 ნოემბრიდგან 1 დეკემბრამდე ქ. ტფილისში ავად გამხდარა: ხუნაგით 2, ყელჭირვებით 1 და წითელათი 1. იმავე დროს გარდაიცვალა: ხუნაგით 1 და ყელ-ჭირვებით 1.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ. ლ. ა. მაღალაშვილს დეპეშა გაუგზავნია პეტერპურგს გზათა-სამინისტროში და შეჰკითხებია, მართალია, თუ არა ის ხმა, ვითომც კახეთის რკინის გზისათვის 1893 წლის სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვაში ჩართული ფული, და მართლა მთავრობა ჰკისრულობს ამ გზის გაკეთებას, თუ არაო.

*** ბევრს ლაპარაკობენ წლევანდელ სეზონში წარმოდგენილ ახალ პიესებზე და დრამატიულ საზოგადოების მმართველობას ემდურებიან, რომ პიესები გაუშინჯავად პირდაპირ სცენაზედ იდგმება. მმართველობა თავს იმართლებს, დროსა და ღონისძიების უქონლობითა. ავტორები თავს იმითი იმართლებენ, ჩვენ ნაწერს ვაძლევთო და, რაც უნდათ, ჰქნანო. რეჟისორები ამბობენ, დრო არა გვაქვს, პიესები ვშინჯოთ კიდეც, გავასწოროდ კიდეც, დავდგათ სცენაზე და მოვაწყოთ კიდეცაო. ყველა თავს იმართლებს, მაგრამ, მწერლები და მთარგმნელ - გადმომკეთებლები, ვგონებ, ყველაზედ უმეტესად საყვედურის ღირსნი არიან. ყოველი მწერლის ვალია, ჯერ თითონ შეიმუშაოს, შეამზადოს, წაუკითხოს განათლებულს გამოცდილს დ̃ კარგა მომზადებულ თავის მცნობებს, ან რომელსამე ლიტერატორების წრეს. მაგრამ ჩვენებური მწერლები ამას არ ფიქრობენ. თავის ნაწერებს, რამწამს გაათავებენ, სრული ნაწარმოები ჰგონიათ და იმ წამსვე გზავნიან ან სტამბაში, ან თეატრში და, აი, ჩნდება სრულიადი სისუსტე.

*** 1891 წლის 1 სექტემბრიდგან 1892 წლის 1 სექტემბრამდე ამიერ კავკასიაში გამოუხდიათ: სპირტი და ჰაჰის არაყი $35^1/_2$ მილიონი გრადუსი, პურის სპირტი და არაყი (ბორჯომის ქარხანაში)—$4^1/_2$ მილ. გრადუსი, სულ 40 მილ. გრადუსი. ამ გვარად კავკასიაში დიდძალი სპირტი და არაყი გამოუხდიათ; წინა წლებშიკი გამოხდილ სპირტისა და არყის რაოდენობა ყოველ წლივ 18—20 მილიონ გრადუსს არ აღემატებოდა.

*** 15 დეკემბერს ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობაში დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობა მუშტაიდის ბაღის ბუფეთის იჯარით გაცემისა. ბუფეტი დარჩა უწინდელს იჯარადარს, სვიატოზარ იოვანოვიჩს წელიწადში 800 მანათად.

*** ამას წინად „ივერიაში“ მოხსენებული გვქონდა დრამატიულ საზოგადოების კომისიების შესახებ ორი შენიშვნა, რომელშიაც შეცდომა მოგვივიდა, და უნდა შევასწოროთ. ერთი კომისსია მიწვეული იყო მმართველობაში შესამუშავებლად პროგრამისა, თუ როგორის დღესასწაულობით გადაიხადოს ქართველობამ თეატრის დაფუძნების დღე 2 იანვარს მომავალ წელსა. კომისიის და მმართველობის შეერთებულმა კრებამ გადასწყვიტა, იდღესასწაულოს ცხოველ სურათების დადგმით და სხვა სასცენო ნაწარმოების გამართვითა. იმ კომისიამ ამითი გაათავა საქმე და თვით მოწყობა - გამართვა მმართველობის განკარგულებას მიანდო. ამით კომისია გაუქმდა.

მეორე კომისია ამორჩეულ იქმნა პიესების წასაკითხად, მათ შორის ოთხი წევრია მმართველობისა: პეტრე ყიფიანი, გრიგოლ ყარაევი, ვასილ სულხანიშვილი და პეტრე უმიკაშვილი და სამიც საზოგადოებისა: ნიკოლოზ ავალიშვილი, პავლე ყიფიანი და ალექსანდრე ყიფშიძე. ეს კომისია ჯერ-ჯერობით საქმეს არ შესდგომია და ამისათვის მმართველობას დაუნიშნავს კრება, რომ კომისიასთან ერთად შეამზადოს პროგრამმა, და კომისიამ შემდეგ მოქმედება დაიწყოს.

*** პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი სტუდენტობა ყოველ წლივ 20 დეკემბერს „საღამოს“ ჰმართავს ხოლმე ღარიბ ამხანაგთა სასარგებლოდ. ამ საღამოებს დაერქვა სახელად: „კავკასიის საღამო“. წელსაც, რასაკვირველია, სწორედ 20

---

— შენ კიდევ ახალ დროების დარეჯანი ხარ! ხარხარით უპასუხებდა დას ლევან.

ოჯახში ყოველივე საქმის თავდარიგს კნეინა რუსუდან აძლევდა, რადგანაც ამ კნეინას ფიქრით ლევან ჯერ კიდევ „ბოვში“ იყო. ლევან ძლიერ მადლიერი რჩებოდა დედისა, რადგანაც დედის წყალობით არ აწუხებდა ოჯახზე ზრუნვა, ყოველივე მზა-მზარეულად მოერთმევოდა, და სარგებლობდა უსაზღვრო თავისუფლებით. მართალია მას შემდეგ, რაც ლევანმა უზომოდ დაუწყო ფლანგვა ფულს და ამით, ცოტა არ იყო, დაალარიბა ოჯახი, ლევანსა და დედა მისს შორის ხანდახან ჩამოვარდებოდა უკმაყოფილება, მაგალითად, დედა ფულს არ მისცემდა; ლევან დაემუქრებოდა —„აწი აღარ გაბატონებ მამა ჩემის დატოვებულ ოჯახზე, მე ვარ მემკვიდრე, ჩემია ოჯახიც და მამულიცაო“; მაგრამ, რადგანაც კნიაზ ლევანს ოჯახის მართვა არ ეხერხებოდა და კნეინა რუსუდანს ოჯახის უფროსობაზე ხელის აღება არ უნდოდა, ადვილად რიგდებოდნენ ერთმანეთში ეს დედა-შვილი, და საქმე ისევ-ისე წინანდებურად მიდიოდა, ესე იგი რუსუდან უფროსობდა ოჯახში და ლევან უზრუნველად ატარებდა დროს.

მეზობლებში ძლიერ ცუდი ხმა ჰქონდა ლევანს, ასე რომ იშვიათად გაიმეტებდა რომელიმე გლეხი თავის შვილს, ქალი ყოფილიყო, თუნდა ვაჟი, ძველისენიძის ოჯახში სამოჯამაგიროდ. ამიტომაც იყო, რომ კნეინა რუსუდანს მუდამ ესაჭიროებოდა ბიჭი და გოგო და ხშირად ძალას ატანდა თავის «მონადელე» გლეხებს, შენი შვილი მოჯამაგირედ დამიყენეო. ის გლეხები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, მიწის ბეგარას თავის დროზე მივცემთ ნაბატონარსო, უარს ეუბნებოდნენ კნეინას, „არ გვყავს გასაცემი შვილი“ო. მაგრამ შეხვდებოდა ისეთიც, რომ უარის თქმას ვერ გაუბედავდა,—„რა ვქნა მის მიწა-წყალ იქით ფეხის დასადგამი გზაი არ მაქ, უარი რომ ვუთხრა, ჩამიდგება ჟინში და გამთლის. სხვაი სხვაია, და „ნადელის“ ფულისთვის მომთხრის“-ო. ესეც რომ არ იყოს, ღარიბ-ღატაკ გლეხისათვის დიდი შეღავათია, რომ შვილის ჯამაგირით ერთ-ერთ გადასახადს გაისტუმრებს. აი, რამ აიძულა მამა, რომ თავისი სოფიო მიაბარა ისეთ საეჭვო ოჯახში, როგორიც ძველისენიძის ოჯახი იყო.

სოფიოს გარდა, იყვნენ მოჯამაგირებად თავადი ძველისენიძისას ერთი ცალ-თვალი მოწიფული გოგო და ორი თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი. აგრეთვე ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილიყო ძველისენიძის სასახლეში ერთი, ნახევრად იდიოტი, მახინჯი მოახლე და ერთიც კოჭლი შინა ყმა,—ორივე უჭირისუფლო და უსახლ-კარო. ესენი უჯამაგიროდ ემსახურებოდნენ ძველისენიძის ოჯახს, რადგანაც მეტი თავ-შესაფარი არსად მოეპოვებოდათ. მხოლოდ ეს-კია, რომ ეს ორი ნაშთი ჟამთა სვლას ეხლა მოეხუცებია და ამიტომ დიდ სამსახურს ვეღარ უწევდნენ ბატონის ოჯახს. კნეინა რუსუდან არ სტოვებდა ამას შეუნიშნავად: „აბა ასე მოწყალეა დიდი კაცის ოჯახი, სხვაგან ვინ შეინახავდა ამ ორ მუქთა მჭამელს!“ ამბობდა ხშირად.

— ფიქრი ნუ გაქვს, შენს ქალს თუ ჩვენ სასახლეში რამე გაუჭირდეს, პასუხის გებას ჩვენ ვკისრულობთ. დაამშვიდეს კნეინა რუსუდანმა და კნიაჟნა მაშომ სოფიოს დედა, როცა ჩააბარა თავისი ქალი და უთხრა, «თქვენი დიდ-კაცობისთვის მომინდვია»-ო.

იმ დროს, როცა რუსუდანმა სოფიო გოგოდ დაიჭირა, ლევან არ იყო შინ. როცა მოვიდა და სოფიოს თვალი შეავლო, რაღაც მხეცურმა სიხარულმა გადაურბინა სახეზედ.

— ვინ არის ეს პატარა ქალი? ჰკითხა მან დედას.

— ჩვენი ნაყმევი ესიკაის ქალიშვილია, გოგოთ ევიყვანე, უპასუხა დედამ.

— ნაყმევის, ჰო... სთქვა ლევანმა და კიდევ გადახედა გოგოს.

— ლეო, გაფრთხილებთ, ეს ქალი მე მაბარია, მე მივეცი სიტყვა ამ ქალის დედას, რუსულად უთხრა ძმას მაშომ.

— მერე, გებაროს, ხომ არ ვჭამ! სიცილით უპასუხა ლევანმა.

კნიაჟნა მაშომ დააწყებინა სოფიოს წერა-კითხვის სწავლება. მორჩებოდა, თუ არა სოფიო საქმეს, შევიდოდა მაშოსთან და ჩაუჯდებოდა წიგნს, რომლის სწავლაში მან საკმაო ნიჭი და სურვილი გამოიჩინა. მაშოც პირველად დიდის ხალისით ეკიდებოდა საქმეს. მაგრამ ერთი-ორის კვირის შემდეგ კნიაჟნას მობეზრდა შრომა და თავი მიანება სოფიოს სწავლებას. მაშოს სიბრალული სოფიოსადმი ეხლა მხოლოდ იმით იხატებოდა, რომ აძლევდა სოფიოს გამონაცვალ ტანსაცმელს და თავის კერძიდან სთავაზობდა საჭმელს. სოფიოსაც თავის მხრით ისე შეუყვარდა მაშო, რომ ცეცხლში ჩავარდებოდა იმის გულისათვის, რომ საჭირო ყოფილიყო. თუმცა კნეინა რუსუდან გოგოს წამსაც არ ასვენებდა, მუდამ საქმეს უჩენდა, მაგრამ კარგმა საჭმელმა და ჩაცმა-დახურვამ მაინც გააკეთა სოფიო, მისმა სილამაზემ ერთი-ორად იმატა.

— აბა ასე იცის დიდ-კაცის ოჯახმა, ხომ გაკეთებულა თქვენი ქალი! ამადლიდა კნეინა სოფიოს მშობლებს, როცა ჰნახავდა.

ლევან-კი ისე უყურებდა სოფიოს, როგორც მგელი ბატკანს. მაგრამ სოფიოსაც ისე ეშინოდა ლევანისა, როგორც ბატკანს მგლისა. შიშის ჟრუანტელი დაურბენდა ქალს ტანში, როცა ლევან თავის ცეცხლივით ბრიალა თვალებს შეაჰყეტდა. მეტადრე ძლიერ ეშინოდა სოფიოს მას შემდეგ, რაც ერთხელ დამთვრალმა ლევანმა ამ ქალს თავის ოთახში დამწყდევა დაუპირა. ამასთან მაშოსაც გაფრთხილებული ჰყავდა სოფიო— „ჩემს ძმას ნუ წაელეწები თავზე, მოერიდეო“.

ერთ საღამოს ლევანმა დიდხანს უმზირა სოფიოს. მერე მოიხმო პირიმზისაი (ის გოგო, რომელიც ბატონყმობის დროიდან დარჩა ძველისენიძისას) და დიდხანს ელაპარაკა რაღასაც ჩუმად. ღამდა. გამოიტანეს ვახშამი. ლევან თავისებურად გაიჟღინთა ღვინით, მერე წამოდგა და დიდხანს დადიოდა თავის ოთახში გაცხარებული. მოაწია ძილის დრომაც; ჯერ ბატონები დააწვინეს და მერე გოგები და ბიჭებიც დალაგდნენ—ბიჭები სამზარეულო სახლში, ცალთვალა გოგო რუსუდანის ოთახში (რუსუდანს რაღაც შიში დასჩემდა და მარტო ვერ წვებოდა), პირიმზისაი და სოფიო-კი სამოახლოში. ჯერ კარგა დაძინება ვერც-კი მოესწრო სოფიოს, რომ ვიღაცამ მოჰხვია ხელები. „ვაი!.. პირიმზისავ!“ შეჰკივლა შიშით გულ-გახეთქილმა სოფიომ. პირიმზისას ხმა არ ისმოდა. მის მაგიერად „ნუ გეშინია, მე ვარ“-ო, შემოესმა ბოხი ხმა სოფიოს და მძლავრმა ხელებმა ისე ჩაიმჭყვრია ყმაწვილი ქალი, რომ კინაღამ ძვლები არ დაემტვრა საბრალოს. „ვაი, ვაი“-ო კიდევ

